

იძულებით გადაადგილებულ პირთა ყოფისა და პრობლემების ასახვა

თანამედროვე ქართულ ბეჭდურ მედიაში

სალომე ფაცაცია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ჟურნალისტიკის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: მედია, ჟურნალისტიკა და კომუნიკაცია: პრაქტიკა, კვლევა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით შაიჭაძე, სრული პროფესორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე ფაცაცია

27.06.2016.

მადლობა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიის, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის: პრაქტიკა, კვლევა პროგრამის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტი:

სალომე ფაცაცია

საკვლევ თემაზე: „იძულებით გადაადგილებულ პირთა ყოფისა და პრობლემების ასახვა თანამედროვე ქართულ ბეჭდურ მედიაში“ მადლობას ვუხდით ჩემი თემის ხელმძღვანელს, ბატონ დავით შაიჭაძეს, რომელიც დამეხმარა საკითხის გარკვევაში, სხვადასხვა დავალების სრულყოფილად შესრულებაში და აქტიურად მანვლიდა ამა თუ იმ ინფორმაციას. მადლობას ვუხდით დევნილებს, რომლებთან ინტერვიუბიც, ვფიქრობ, ჩემი სამაგისტრო ნაშრომის მთავარი ინფორმაციის შემცველია. მადლობა ასევე მედიის ყველა წარმომადგენელს, სახალხო დამცველის აპარატისა და დევნილთა ორგანიზაციების წევრებს, რომლებიც დამეხმარნენ საკითხის გაანალიზებასა და თემის სრულყოფაში, მათ საკუთარი ანალიზით, ინტერვიუებითა და რეკომენდაციებით საშუალება მომცეს, არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე პასუხი გამეცა თემის საკვლევ კითხვისთვის

აბსტრაქტი

წარმოდგენილი საკვლევი თემის „იძულებით გადაადგილებულ პირთა ყოფისა და პრობლემების ასახვა თანამედროვე ქართულ ბეჭდურ მედიაში“ მთავარი საკითხია ის, თუ როგორ აშუქებს მედია საქართველოს მოსახლეობის 6 პროცენტის, ანუ დევნილების მდგომარეობას. არის თუ არა რეალურად არსებული სიტუაციის რელევანტური. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გადავწყვიტეთ ჩავატარებინა კვლევა და განვახორციელეთ ისეთი სამუშაოები, როგორიცაა პრესის მონიტორინგი, ინტერვიუ დევნილებთან, მედიაექსპერტებთან, მედიის, დევნილთა ორგანიზაციების, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან, მათი მოსაზრებების გარკვევა ამ თემის გარშემო. კომპეტენტურ პირებს ვთხოვეთ, რომ მოეცათ რეკომენდაციები. ამასთან, შევისწავლეთ თემის გარშემო არსებული მასალა: კვლევები, ანგარიშები, რომელიც საკვლევი კითხვისთვის (როგორ აშუქებს თანამედროვე ქართული ბეჭდური მედია იძულებით გადაადგილებული პირების ყოფასა და პრობლემებს?) პასუხის გაცემაში დაგვეხმარებოდა.

ამავე მიზნით ჩავატარეთ რამდენიმე კვლევითი ეტაპი: პირველ რიგში, ხუთი ქართული გაზეთის სამთვიანი მონიტორინგი (2016 წლის იანვარი, თებერვალი, მარტი). ეს გაზეთებია: „კვირის პალიტრა“, „ახალი თაობა“, „ვერსია“, „ალია“, „რეზონანსი“. გაზეთებზე დაკვირვების შემდეგ, ვეცადეთ, მოგვეძიებინა ლიტერატურა, რომელიც შეეხებოდა მოცემულ საკითხს, თუმცა, აღმოჩნდა, რომ უშუალოდ ჩვენთვის საინტერესო თემაზე სტატია არ არსებობს. არის რამდენიმე სტატია, კვლევა თუ ანგარიში არა ბეჭდურ, არამედ, ზოგადად, მედიაში (ძირითადად, სატელევიზიო), იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობის ასახვის შესახებ. ამის შემდეგ უშუალოდ დევნილებთან ჩავატარეთ პირდაპირი ინტერვიუები, ასევე, პირისპირი ინტერვიუები ჩავატარეთ მედიის წარმომადგენლებთან და დევნილების სფეროში მომუშავე პირებთან. შესაბამისად, ჩვენი კვლევა არის შერეული ტიპის და შეიცავს, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის ელემენტებს.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად დადგინდა, რომ თანამედროვე ქართული ბეჭდური მედია ადეკვატურად არ ასახავს საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა ყოფასა და პრობლემებს. იშვიათად წავიკითხავთ სტატიებს ადამიანური ისტორიებით და აქცენტი მათზე კეთდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ხდება რამე კონკრეტული ფაქტი. ქართული ბეჭდური მედია, ისევე, როგორც ზოგადად, მედია, ძირითადად, ორიენტირებულია სკანდალებსა და სენსაციურ ამბებზე. ჩვენი რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა ხაზს უსვამს მედიის მხრიდან დევნილებისადმი არასათანადო ყურადღებას და ამის სხვადასხვა მიზეზს ასახელებს. მათ შორის გამოიკვეთა ორი უმთავრესი ფაქტორი: დრო და ამბის ნაკლებად სენსაციურობა. თითქმის იდენტურია ჩვენი რესპონდენტების რეკომენდაციები მედიის მიმართ: მედიას ენიჭება მნიშვნელოვანი როლი და ეს გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებას, არამედ, თემების გაცოცხლებას, ანგარიშვალდებული პირების მუდმივ კონტროლს, თანმიმდევრულობას. რაც შეეხებათ დევნილებს, ისინიც მედიის მხრიდან უყურადღებობას უჩივიან.

ვფიქრობთ, მიღებული შედეგი საინტერესოა როგორც იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, ასევე, ზოგადად, მედიისთვის. ვინაიდან დევნილები ქვეყნის მოსახლეობის 6 პროცენტს შეადგენს და მათი პრობლემები მუდმივად ყურადღების ცენტრში ყოფნას მოითხოვს. მედია კი მხოლოდ სკანდალური და პოპულარული თემებით ინტერესდება, რადგან მსგავსი საკითხები მეტად რეიტინგულია.

Abstract

Main issue about presented topic “displaced people’s life and how is it shown in modern printing media” , is how represents media population’s six percent - displaced people’s life conditions. Is it the same as the real condition and what kind of strategy has printed media about coverage this problem. To do all this we did in-depth study about how to select an article, interviewed displaced people, their point of view about this theme, also journalist’s, mediaexpert’s, different organisation’s and other competent people’s position and standpoint about presented topic. We asked them to give us their recommendations. In addition, we studied some materials, researches, accountings which would help us to answer presented questions.

We did different task-work: firstly, we made five Georgian newspaper’s three month monitoring (january, february and march of 2016). These newspapers are: „Kviris Palitra”, “Akhali Taoba”, “Versia”, “Alia”, “Rezonansi”. After some observation on these newspapers, we tried to search some accompanying literature about this theme, but it appeared that there is no article about concretely printing media. Although there are some informations about displaced people’s life not in printing media but in media generally (mainly, TV). After this, we did some face to face interviews with our body of interest – displaced people. Also we have interviewed media and people who work with this kind of people. Accordingly, our research is mixed and contains both–quantitative and qualitative characteristics.

After all this case study appeared, that modern Georgian printing media doesn’t represent adequately displaced people’s life and problems in Georgia. Rarely, there are some articles about some individuals stories and it only appears when something specific happens. Our respondents say that there is not proper attention from media. They say different reasons, but most of them think, that main factors for lack of attention are: time and the fact that this topic is not sensational. There are almost identical recommendations from our respondents to media. They think that media has a significant role not only in informing people, but in keeping this topic alive. They also complain for lack of attention not only from media, but from government too.

We think that this result is alarming for displaced people and for media too. Because displaced people are population's 6 percent and their problems need to be always on spotlight. Media only has interests about scandalous and popular topics, because these topics are top-rated.

Keywords: displaced people, media, problems